კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

„საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ღონისძიებების განხორციელება, კულტურის სფეროში მეტწილად უკავშირდება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ მუზეუმებს, თეატრებსა და მუსიკალურ ორგანიზაციებს. სამინისტროს სისტემაში შემავალ კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუციებში, კულტურულ ღონისძიებებში ხანდაზმულთა ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, როგორც შტატში, ასევე მოწვეულ კონსულტანტებად ან მოხალისეებად აქტიურად არიან დასაქმებული ასაკოვანი ადამიანები. ამასთან, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროგრამები, რომელიც გათვლილია ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე, მათ შორის - ხანდაზმულებზე. გარდა ამისა, საპენსიო ასაკის მოქალაქეები სსიპ მუზეუმებში სარგებლობენ შეღავათიანი მომსახურებით. ხანდაზმულთა ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით, სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ახორციელებს სოციალურ და საქველმოქმედო პროექტებს, კერძოდ, დევნილების, ომისა და შრომის ვეტერანების, მზრუნველობა მოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მოხუცებისთვის თეატრში მოქმედებს სპეციალური ფასდაკლებები. სსიპ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ახორციელებს საქველმოქმედო აქციებს ომისა და შრომის ვეტერანებისთვის, სათნოების სახლ „კათარზისის“ ბინადრებისთვის. სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი საქველმოქმედო აქტივობების ფარგლებში იწვევს კონცერტებზე „კათარზისის“ ბინადრებს. პერიოდულად სხვადასხვა დღესასწაულებზე (9 მაისი, აღდგომის დღესასწაული, 3 მარტს, 8 მარტს, 26 მაისს) თეატრებში და მუსიკალურ ორგანიზაციებში გამართულ სპექტაკლებსა და კონცერტებზე მოწვეული არიან ხანდაზმულები, ვეტერანები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ღვაწლმოსილი ადამიანები. სპორტის მიმართულებით, სამინისტრო ახორციელებს პროგრამას - სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები, რაც გულისხმობს, ვეტერან სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკებზე ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემას. პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 450-მდე ბენეფიციარი. სპორტული ორგანიზაციების მიერ 2017-2018 წლების განმავლობაში განხორციელებული სპორტული ღონისძიებების ფარგლებში ხდებოდა ხანდაზმულთა, განსაკუთრებით ვეტერან სპორტსმენთათვის, დასწრების უზრუნველყოფა ბილეთებისა და ტრანსპორტირების შეღავათიანი პირობების და უფასოდ შეთავაზებით - სულ 3 ათასამდე ბენეფიციარი; სპორტის სხვადასხვა სახეობაში ხდებოდა ვეტერან სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა - სულ 150-მდე ბენეფიციარი. 6/25/2018 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო file:///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/c69b8b25-4c5e-44cb-b255-49481138be68.html 2/2 სამინისტროს საქმიანობის ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპორტული ღონისძიებების გამართვის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა. ამ ფარგლებში 2017-2018 წლებში გაიმართა როგორც მიზნობრივი ღონისძიებები ვეტერან სპორტსმენთათვის, როგორიცაა მაგალითად ივნისის თვეში ყვარლის ტბაზე გამართული ღონისძიება საერთაშორისო ვეტერანთა მარათონი, რომელშიც 100-მდე ხანდაზმული ვეტერანი მონაწილეობდა, ასევე, სამინისტრო უზრუნველყოფს მასობრივ სპორტულ ღონისძიებათა გამართვას საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის, მათ შორის ხანდაზმულთათვის. ამ ფარგლებში 2017 წლიდან დღემდე სპორტული ღონისძიებებში ჩაერთო ათასზე მეტი ხანდაზმული, ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა სპორტის საერთაშორისო დღე, მსოფლიო რბენა-Wings For Life და სხვა მიმდინარე წელს დაგეგმილია მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სადაც ჩართულები იქნებიან როგორც ვეტერანი სპორტსმენები, ასევე მოსახლეობის ხანდაზმული წარმომადგენლები, მათ შორის ხაზგასასმელია ევროპული სპორტის კვირეული, მასშტაბური მასობრივი სპორტული ღონისძიება რომელიც გაიმართება 23-30 სექტემბერს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელშიც სავარაუდოდ ჩაებმება რამდენიმე ათასი ხანდაზმული.